სახალხო გაზეთი

№ 1104 პარასკევი, 31 იანვარი 1914 წ. № 1104

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელ. ის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

მღვდელი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის **იოსებ ბერიძე, მეუღლე მისი სოფიო იოსების ასული** და შვილები: **ლავრენტი, ნინო, ალექსანდრე, ნატალია და ვახტანგი** გულდათუთქულნი გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უდროოდ გარდაცვალებას: პირველნი ძვირფასის შვილისა და მეორენი საყვარლის ძმის ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

ილიკოსას.

გამოსვენება და დაკრძალვა (საეკლესიო სახლიდან, წორის ხმართზე) მოხდება პარასკევს, 31 იანვარს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 44

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი ბელეტრისტიკა:

არაგვისპირელი შ. წ. 1-ლი	50 კ.	გე დევანიშვილი. გამცემი	25 „
„ „ „ 2-ე	40 „	გრდემლი. სალიტერატურო კრებული წ. 1-ლი	1 მ. 50 „
„ „ „ 3-ე	40 „	„ 2-ე	1 მ. 50 „
„ „ „ 4-ე	50 „	გრიშაშვილი. ოცნ. კოცნა	10 „
„ შიო თავადი	60 „	„ ბროლის ღიმილი	10 „
აბაშელი. მზის სიცილი	50 „	გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ. „
არბოლელი. ყოველის მხრიდან	10 „	დუტუ-მეგრელი ტ. 1 ლექსები	70 „
არდაზიანი. მეჯლანუაშვილი	50 „	„ „ 2 მოთხრობ.	70 „
ახნაზაროვი. ლექსები და სცენები	60 „	ერისთავ-ხოშტარია. კამისია	15 „
ახოსპირელი. ჩემი ნანინა	10 „	„ მოლიპულ გზაზე	1 მ.— „
ბარათაშვილი. ლექსები	40 „	„ ბედის ტრიალი	60 „
ბაჩანა. დიაკვნიანი	20 „	ერისთავი რ. თხზ. ტ. 1.	1 მ.— „
ბესიკი.	1 მ.— „	„ „ „ 2.	40 „
გაბაშვილი ე. თხზულებანი	1 მ. 20 „	ერისთავი გ. რჩ. ნაწერები	60 „
განდეგილი. ლექსები და მოთხრობები	50 „	ერისთავი დ. დრამ. თხზ.	1 მ.— „
		ევდოშვილი. ლექსები და პოემები	60 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ახალი კლუბი

შაბათს, 1 თებერვალს,

საოჯახო საღამო.

თეატრის სცენაზე ცნობილი თეორეტიკოსი ხელოვნებისა, მსახიობი და ჟურნალისტი **ა. ი. პასხალოვი** წაიკითხავს **ლექციას:** „სიყვარული, ეჭვიანობა და მკვლელობა“. დასაწყისი სრ. 9 საათზე.

სტუმ. ძალიან კლუბში შესასვლ. კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტ. 25 კ. 1007

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1604

ცნობა

უმაღლესი სენატის განკარგულებათა და განმარტებათა კრებული 1913 წ. 9 ნოემბრისა № 253 განყ. მე-2. დამტკიცებული სარკინიგზო შრომის არტელის **„ვარიაგის“** წესდება, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით, რუსეთის სარკინიგზო საზოგადო კანონთა დებულების მე-77 მუხლის შენიშვნის ძალით, ტომი 12, მიიღებიან არტელის წევრებად **ბაქოსა, ბალაჯარისა და საბუნჩას სადგურებზე** ფიზიკურად ჯანსაღი პირნი, არა უმცირეს 21 წლისა. და არა უხნიერეს 45 წლისა. არტელის წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია. არტელში ჩაწერის უკანასკნელ ვადად ამ წლის 24 თებერვალია. ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ არტელის გამგეობას, რომელიც იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე სახლი № 2, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე.

1038

გამგეობა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელ. მკ.	**ჯაჯახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი მ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“.

1023

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა **საქარხნო მაღაზიამ** მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე. **ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

ბ. ბ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თელავის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ქ. გორში

(დოქტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის [illegible] 1571

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

ექიმი მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და ღამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ—საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—საღოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი

ი. ზ. ბძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე,** გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი მ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ეროვნული

ქართული პრესა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო სია იმ საგნებისა, რომელიც უნდა განიხილოს ქართლ-კახეთის სამღვდელოების ეხლანდელმა კრებამ. უეჭველია, ამ სიის წაკითხვა ფრიად ახირებულს შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე: სიაში არაა არც ერთი საკითხი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ჩვენი ეკლესიის დღევანდელი მწვავე მდგომარეობა. ნუ თუ არა ჰხედავს ქართველი სამღვდელოება, რომ საქართველოს ეკლესია უკიდურეს ყოფაშია, სრული განადგურებისაკენაა დაქანებული დ თუ დროზე გონს არ მოვიდა, ივერიის ეკლესიის სახსენებელიც აღარ დარჩება? ნუ თუ არა გრძნობს სამღვდელოება, რომ დღეს ასეთის საკითხებს განხილვით, როგორიცაა სემინარიის ბიბლიოთეკისთვის სამასი მანეთის გადადება ან ამა თუ იმ მოსამსახურისთვის ჯამაგირის მომატება—ოდნავად არ წაიწევა წინ ჩვენი ეკლესიის ბედი? რომ სამღვდელოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს საქმის დედა მიზეზებს და ხმა ამოიღოს ქართველი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად?

გაზეთი „ერი“ აღნიშნავს, რომ ჩვენი სამღვდელოების დათმობის პოლიტიკამ მთლად დაუკარგა ქართულ ეკლესიას თვითარსებობის ელფერი და ეკლესია დღითი-დღე ჩვენი გადაგვარების იარაღად ხდება. გაზეთი ამბობს: ახალი განკარგულება გამოვიდა—ქართველ მღვდლებს ხელწერილი უნდა ჩამოართვან, რომ ეხლანდელი ქართული საეკლესიო ბეჭდები გააუქმონ და მათ ნაცვლად შემოიღონ რუსული. გაზეთი მოიგონებს, რომ მღვდლებს მოსთხოვეს საეკლესიო საბუთების რუსულად წარმოება, რომ აღუკრძალეს ბავშვებს ქართული სახელები დაარქვან, და ურჩევს სამღვდელოებას, უკანონო განკარგულებას ქედს ნუ მოუხრის:

„ქართველი სამღვდელოება თუ ფხას გამოიჩენს (და არ უნდა გამოიჩინოს?) თვითმოყვარეობა ასე ადვილად დასაწიხლავი და გასაქარწყლებელი არ შეიქნება“...

საჭიროა, შეიგნონ ეს ჩვენმა მღვდლებმა და ეკლესიის მსახურთა, შეიგნონ მალე, შეიგნონ და ღრმად ჩაინერგონ გულში, თორემ გვიანღა იქნება, დრო სისწრაფით მიდის და უარესობისაკენ მიაქანებს ივერიის ეკლესიას. დიდი ხანი არაა, ალავერდის ეპისკოპოსის კათედრა გაუქმდა და მის მაგიერ დაწესდა ერევნისა. ჩვენ თითქოს შევურიგდით მას და დავდუმდით. და ვიცით, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე? ყოველი დათმობილი უფლება ძნელი აღსადგენია. სარწმუნოების თავისუფლება რუსეთის ძირითად კანონებშია შეტანილი და ნუ თუ იგი მხოლოდ ჩვენთვის არ არსებობს?

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ლამის საარაკო გახდეს რუსული ჟურნალ-გაზეთების უვიცობა ჩვენი ქვეყნის საქმეებში. რას არ სწერენ და რას არ აწვდიან თავის მკითხველებს: ქართველები მთებში სცხოვრობენ, ყოველი ქართველი დღე და ღამ თავით ფეხამდე შეიარაღებული დადის, ტფილისში გამუდმებული ხელჩართული ბრძოლა და ჟლეტაა, ქართველები მეტ წილად მაჰმადიანები არიან, მიწის მუშაობას მხოლოდ მეცრხამეტე საუკუნეში მიეჩვივნენ და ანბანი რუსებმა ასწავლეს.

მკითხველს კარგად ახსოვს ალბად: ეგზარხოსი ინოკენტი რომ გარდაიცვალა, კადეტების გაზეთებმა ქება-დიდება შეასხეს მის მოღვაწეობას, დიდ ლიბერალად დასახეს, ივერიის ეკლესია ფეხზე დააყენა, ააყვავა და თითქმის ქართველ წმიდათა შორის ჩარიცხეს. ბევრი საყვედური მიიღეს რუსულმა გაზეთებმა ასეთის სრულის უვიცობისათვის, მაგრამ საყვედური საყვედურად დარჩა და საქმის მდგომარეობა ოდნავად არ გაუმჯობესდა. აი ამის ცოცხალი მაგალითი. გაზეთი „დენი“ სწერს ახალი ეგზარხოსის შესახებ:

„დუბროვინის მომხრეების (შავრაზმელების) იმედი ახალი ეგზარხოსის შესახებ სრულებით არ გამართლდა, არქიეპისკოპოსი ალექსი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში განაგრძობს განსვენებული ინოკენტის მშვიდობიან პოლიტიკას და ცდილობს შეუთანხმოს თავისი სულიერი მოღვაწეობა მეფის მოადგილის მშვიდობიანს პოლიტიკას“.

აქ ყველაზე უწინარეს გასაკვირველი ისაა, რომ გაზეთი ეგზარხოსის ინოკენტის მოღვაწეობას ნათლავს მშვიდობიანობის სახელით, რომელიც ვითომც მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის გასაბედნიერებლად. მეორე გაუგებარია: რას უწოდებს გაზეთი ეხლანდელი ეგზარხოსის მშვიდობიან პოლიტიკას? რაში გამოიხატა ეს პოლიტიკა?

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. საგენტო).

29 იანვრის სხდომა.

ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.

ხაუსტოვი მოითხოვს სწრაფ განსახილველად ჩასთვალონ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი სოც.-დემოკრატთა შეკითხვა, რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში მუშათა საფროფესიო საზოგადოებათა მიმართ ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების თაობაზე.

კენჭის ყრით სწრაფ-განხილვის საჭიროება უარჰყვეს და შეკითხვა კომისიას გადასცეს.

რუსეთის რკინის გზებზე მომხდარ უბედურებათა გამო მთავრობის მიერ წარდგენილ განმარტებას იხილავენ.

დობროვოლსკი. ასეთ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველა სარკინისგზო სადგურებზე რიგიანად მოეწყოს მექანიკური მაჩვენებელი მომსვლელ და წამსვლელ მატარებელთა სათანადო გზისა და საჭიროა ისეთი თვითმოქმედის მოწყობაც, რომლის საშუალებითაც შეუძლებელი გახდება ერთი ლიანდაგის მაგიერ მატარებელი მეორე ლიანდაგზე გადავიდეს. და უყოვნებლივ უნდა გადაისინჯოს რკინის გზის მსახურთა შემადგენლობის მუშაობისა და შესვენების დრო. ამ წესებს კი გზებზე მეთვალყურეობას უნდა უწევდეს არა ადმინისტრატიული მოხელე.

მურანოვი. გზათა უწყება მძიმე ავადმყოფია და არსებითი წამლობა ეჭირვება. საინჟინერო საბჭოს განმარტებანი მურანოვს წამხდარ საქმის უხეირო გამოსარჩლებად მიაჩნია.

საინჟინერო საბჭოს თავმჯდომარე კოზირევი. ერთს რომელიმე წელიწადში მომხდარ უბედურ შემთხვევათა რაოდენობაზე არავითარი საერთო დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება. ვერცენვინეცის აზრის წინააღმდეგ, ამ საგნის თაობაზე ცნობების შესწავლა, დიდს უიმედობას არ იწვევს, მით უმეტეს, რომ რუსეთის რკინის გზებზე უკანასკნელ დროს მოგზაურობის საშიშროება შემცირდა მატარებელთა მიმოსვლის ზრდასთან შედარებით. გზათა უწყება ზრუნავს, რომ დროიანად მოაწესრიგოს რუსეთის რკინის გზათა მთავარი ლიანდაგები. ყველა უმთავრესი ლიანდაგები—მოსკოვისა, კიევისა, ხარკოვისა, ბრესტისა, ოდესისა—წეს-რიგში მოგვყავს. ცოტა ჩამოქვეითებულია ვარშავი ლიანდაგი, მაგრამ იმის საქმეები მალე შევა საინჟინერო საბჭოში განსახილველად. სათათბიროსთვის საყვედური არ შემითვლია კრედიტის შემცირებისათვის, მე მხოლოდ აღვნიშნე, რომ ზოგიერთი კრედიტის შემცირებამ, შესაძლებელია უწყებული ვნებაც მოუტანოს-მეთქი.

გზათა უწყებას საკანონმდებლო დაწესებულებისათვის არ დაუმალია არც თავისი ნაკლი, არც ღირსება. უწყება სათათბიროს მხოლოდ სთხოვს, ნუ დააბანდებენ ისეთს კანონ-პროექტებს, როგორიც, მაგალითად, პროექტი რკინის გზის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასისა, რომელზედაც დამოკიდებულია მოსამსახურეთა უზრუნველყოფა მოხუცებულებაში, აგრეთვე ნუ დააბანდებთ სახაზინო რკინის გზებზე მოსამსახურეთ წესდების პროექტის განხილვას, რადგანაც იგი აწესრიგებს მათს უფლებრივს დამოკიდებულებას.

ნიკოლაევი. განმარტებანი საინჟინერო საბჭოს თავმჯდომარისა არ აბათილებს კავკავის რკინის გზის თაობაზე ნათქვამს შენიშვნებს. ამ გზაზე მომხდარ უბედურებათა გამო უწყება, სამწუხაროდ, თავის უწყებაში მსახურთა ჩვენებით დაკმაყოფილდა. მოლაპარაკე აღნიშნავს, ამ გზაზე უბედურებათა მიზეზი არის ვაგონების ჭარბად დატვირთვა, ვაგონების სხვა და სხვა ნაირობა და სხვა. ადგილობრივი მკვიდრნი არ ენდობიან ოფიციალურს ცნობებს ბოროტ-მოქმედებათა გამო გამოცხადებულს და არც უკანასკნელ დროს მომხდარ უბედურებათა მიზეზების განმარტებას.

მანკოვი. მთავრობის წარმომადგენლის განმარტება არ მაკმაყოფილებს. გზათა მინისტრი არა სცდილობს რკინის გზის მოსამსახურეთა უფლებრივსა და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. მოლაპარაკეს არა სჯერა, ვითომც მომხდარი უბედურებანი ვინმე ბოროტმოქმედთა საქმე იყოს. ასეთი უბედურებანი მხოლოდ მაშინ შემცირდება და რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობაც მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როდესაც პასუხისმგებელი მთავრობა გვეყოლება.

შემდეგი სხდომა დღეს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. საგენტო).

29 იანვრის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

ბაგალეი მოხსენებასა კითხულობს საფინანსო კომისიის მუშაობაზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამი შესწორების განხილვა. სახაზინო არყის განსაზღვრულ ფასის დაწესებაზე საფინანსო კომისიას დაეთანხმა კანონპროექტის კომისიის აზრს და ამის გამო უარჰყო ოხოტნიკოვისა და ენგელგარდტის შესწორებანი. ფინანსიურის თვალსაზრისით ფასის გადიდება დიდ მნიშვნელოვანია: მისი გადაწყვეტა გზა-გზა შეუძლებელია. სათათბირო ამ საკითხს არ შეეხებია; ეს საკითხი ახალ კანონპროექტის საგნად უნდა გახდეს.

კომისიამ უარჰყო გურკოს შესწორება, რომლითაც იგი მოითხოვდა არყის გამყიდველ ქალთა დაჯილდოვებას, თუ მაგარ სასმელების ხმარება იკლებდა. გამყიდავი ქალი მოვალეა ყველას მიჰყიდოს არაყი. მაგარ სასმელთა ხმარების შემცირება თუ გადიდება მათზე არ არის დამოკიდებული. კომისიას უფრო სასარგებლოდ მიაჩნია ისინი დააჯილდოვოს არყის საიდუმლოდ მოვაჭრეთა აღმოჩენისთვის. კომისიამ უარჰყო აგრეთვე გრ. ვიტტეს შესწორება მაგარ სასმელთა შემოსავლის ერთ დონეზე დაყენების შესახებ. ხაზინის გადასახადთა ფიქსაცია მეცნიერებისთვისაც და პრაქტიკისთვისაც უცნობია; ამას გარდა, ფიქსაცია თვით გადასახადთა ცნებასაც ეწინააღმდეგება; შესწორება არსებითად გადასახადთა ფიქსაციას კი არ წარმოადგენს, არამედ ხარჯთ-აღრიცხვის განსაზღვრულ ნაწილის სპეციალიზაციას; ეს ანომალიად უნდა ჩაითვალოს. ვიტტეს შესწორების მიღება ლოთობას კი არ შეამცირებს, არამედ შექმნის ახალ უწყებას ლოთობასთან საბრძოლველად; ამ უწყებას ექნება საკმარისი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მუდმივ ზრდაში იქნება, იმ დროს როდესაც სხვა საჭიროებისათვის საჭირო თანხა არ აღმოჩნდება.

31 მუხლი, რომლითაც ყოველ წლივ 20 მილიონი მანეთი უნდა გაიცეს ლოთობასთან საბრძოლველად, საფინანსო კომისიამ უარჰყო. კომისიის აზრით, ამ მუხლს მცირე კავშირი აქვს კანონ-პროექტთან და უფრო უახლოვდება ხალხის სიფხიზლის კანონ-პროექტს.

გრ. ვიტტე. ორმა მოსაზრებამ მაიძულა უკიდურესი ზომებისათვის მემართა ლოთობასთან საბრძოლველად: 1) შემოსავალმა მილიარდამდე მიაღწია; 2) რუსი თავის შემოსავლის მიხედვით არაყზე გაცილებით მეტსა ჰხარჯავს, ვიდრე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

უკანასკნელ წელიწადში რუსეთი უკანასკნელ სიღარიბემდე მივიდა, მაგარ სასმელთა შემოსავალი კი არაჩვეულებრივად იზრდება. ხარჯთ-აღრიცხვის უდეფიციტობა მაგარ სასმელების შემოსავალზეა დაფუძნებული. ხარჯთ-აღრიცხვა იზრდება, რადგანაც მთავრობა არავითარ ღონისძიებას არ იღებს ლოთობასთან საბრძოლველად. მას ასეთი მდგომარეობა წესიერად მიაჩნია. თუ ლოთობასთან ბრძოლა გვინდა, უნდა გავაცალკევოთ ხარჯთაღრიცხვისა და მაგარ სასმელითა შემოსავლის პასუხისმგებლობა. შესწორებასაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა. კომისიამ იგი უარჰყო და სამაგიერო კი არა მოგვცა რა. ჩემი შესწორება შესაფერად ვერ გაიგეს. კომისიის კრიტიკა ჩემს შესწორებას არ ეხება. მცდარია იმის მტკიცება, ვითომც ფიქსაცია მეცნიერებისათვისა და პრაქტიკისთვის უცნობი იყოს. რუსეთში შემოსავალთა ფიქსაციას ხშირად მიმართავდნენ ხოლმე.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ნოვიცკი. ვიტტეს შესწორებას თუ ისე გავიგებთ, როგორც მან ეხლა განმარტა, უნდა აღვიაროთ, რომ იგი არავითარ ღონისძიებას არ გვაძლევს ლოთობასთან საბრძოლველად; ვიტე მთავრობას უსაყვედურებს, არ იღებს ზომებს ლოთობის წინააღმდეგაო, ხოლო არც თვითონ მისი წინადადებაც არ იძლევა საჭირო თანხას ამ მიზნისთვის.

გურკო თავის წინადადებას იცავს.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ნოვიცკი საფინანსო კომისიის აზრს მხარს უჭერს და გურკოს შესწორების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

ვასილიევი საბჭოს საუნივერსიტეტო ჯგუფის სახელით ვიტეს შესწორებას იცავს.

ლოპატინსკი გურკოს შესწორების წინააღმდეგია.

ოზეროვი. შემოსავალთა ფიქსაცია სახელმწიფოთა პრაქტიკაში ახალი ამბავი არ არის. მოლაპარაკეს ამის დასამტკიცებლად ცნობები მოჰყავს.

რაკოვიჩი კანონ-პროექტში შეტანილ შესწორებათა სიმრავლეს აღნიშნავს, ყველა შესწორება მიზან შეწონილი ვერ არისო. მოლაპარაკე გურკოს შესწორების წინააღმდეგია.

შებეკო გამოსთქვამს ცენტრის უმრავლესობის აზრს, შებეკოს აზრით, ვიტტეს შესწორება იმდენად არ არის მიმართული ლოთობის წინააღმდეგ, რამდენადაც საფინანსო უწყებისა. მოლაპარაკე გურკოს აზრის წინააღმდეგიცაა.

ობოლენსკის აზრით საჭიროა ლოთობასთან ბრძოლაში ქალაქებსა და ერობებს მონაწილეობა მიაღებინონ. ვიტტეს შესწორება საკმაო ღონისძიებას არ იძლევა ამის მისაღწევად.

შემდეგი სხდომა 31 იანვრისთვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 85 წლის თავის** შესრულების გამო გუშინ, 30 იანვარს, მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა, რომლის შემდეგაც ქალაქის გამგეობის თაოსნობით განსვენებულ მწერლის საფლავის თავზე დეკანოზმა ნ. მაჭარაშვილმა პანაშვიდი გადაიხადა. განსვენებულის საფლავი გვირგვინებით შეამკეს: ქალაქის თვითმმართველობამ, რუსულ დრამის წარმომადგენლებმა და რუსულმა კლუბმა. ამის შემდეგ ქალაქის გამგეობისავე თაოსნობით მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი ილიას საფლავზე, იმის გამო, რომ განსვენებული ა. გრიბოედოვი ცოლის მხრით ნათესავი იყო ილიასი. დაესწრნენ: ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, პრესის წარმომადგენელნი, საქალაქო სკოლების მოსწავლენი და მრავალი გარეშე ხალხი.

◆ ტფ. სამოსამართლო პალატის სამომწესრიგებლო კრებამ დაადგინა, პალატაში საქმის გარჩევამდე აღიკრძალოს იუმორისტულ ჟურნალის „სუსხი“-ს მეოთხე ნომერი, ხოლო თვით ჟურნალის გამოცემა შეჩერებულ იქმნას. ამავ კრების დადგენილებით რედაქტორი ჟურნალისა მ ღლაშვილი უნდა დააპატიმრონ, თუ ორას თუმანს სათავდებო ფულს არ წარადგენს.

◆ **ტფ. მემუსიკე-აშუღებს** რამდენისამე თვის წინად პოლიციამ დუქან-რესტორანებში აზიურ საკრავების დაკვრა აუკრძალა. ამ გარემოებამ მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩააყენა მრავალი აშუღი და საზანდარი, განსაკუთრებით უსინათლონი, რომელნიც ამ ხელობით ირჩენდნენ თავს. ახლა, აშუღ-მემუსიკეთა 18 წარმომადგენლის შუამდგომლობის თანახმად, მეფის მოადგილემ განკარგულება მოახდინა, რათა აშუღ-მემუსიკეთ აღარ დაუშალონ დაკვრა დუქნებსა, რესტორანებსა და კერძო სახლებში.

◆ **საპოლიტეხნიკუმო ადგილს** 1 თებერვალს დაათვალიერებენ ხმოსნები ქალაქის მოურავის მოადგილის მეთაურობით.

◆ **დაჯარიმონ თუ არა ტრამვაის დირექცია წარსულ გაფიცვის დღეებისთვის**, ეს საკითხი გამოსარკვევად ქალაქის საბჭომ საიურიდიო კომისიას კარგა ხანია გადასცა, მაგრამ კომისია დღემდე არავითარ პასუხს არ აძლევს საბჭოს. ამის გამო, როგორც გავიგეთ, ხმოსანთა ერთი ჯგუფი საბჭოს უახლოეს კრებაზე შეკითხვას შეიტანს: რა მდგომარეობაში ამ ჟამად ამ საკითხის გამორკვევის საქმე და რა ზომები აქვს ქალაქის გამგეობას მიღებული საკითხის ასე თუ ისე ჩქარა გადასაწყვეტად.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, **ქალაქის მთავარ ინჟინერის თანამდებობაზე** გარეშე პირი არ მოიწვიოს და ამ ადგილზე დანიშნოს ერთი თავის ტეხნიკოსთაგანი. გამგეობამ ეს ადგილი შესთავაზა ტეხნიკოსს ა. ა. მელიქ-ბეგლიაროვს, მაგრამ ამან უარი სთქვა. გამგეობას აზრად აქვს ამ ადგილზე დანიშნოს ავჭალის წყალსადენის გამგე ინჟენერი ს. ა. მუხარინსკი, ხოლო უკანასკნელის ადგილზე ი. ს. ვაწაძე.

◆ **კოტე ყიფიანის იუბილეს გამო** რედაქციამ მიიღო მისალოცი დეპეშა წ. კ. გ. საზ. მაჩხაანის განყოფილების გამგეობისაგან.

◆ **„სინათლე“-ს სტატისტიკა.** ი. გედევანიშვილის პიესა—ზღაპრის რვა წარმოდგენას (ექვსს—ქართულ თეატრში და ორს—სახაზინო თეატრში) დაახლოვებით დასწრებია სულ 6550 კაცი. შემოსავალი ყოფილა საერთოდ 4800 მანეთი.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ **ნაკადულის** იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: ზამთარი,—სურ. კლევერისა, ⁂—ლექსი აკაკისა, ბიძია აბროს სტუმრები,—ვ. თამაროშვილისა, წმინდა ოჯახი,—სურათი, ბავშვები,—პოემა ი. მჭედლიშვილისა, ხველის წამალი,—ვ. გრაჰამისა, თარგმანი ელ. ანტონოვსკისა, უსინათლო,—(თარგ.) თამარ კარბელაშვილისა, დამჭკნარი ვარდი,—ლექსი გელასი, დასჯილი მისწრაფება,—დავ. კილოსანიძისა, კოტე ყიფიანი,—ივ. გომართლისა, ელექტრონის სასწაულები,—(წერილი მეორე) ივ. როსტომაშვილისა, გასართობი: რებუსი და ახსნა.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ **„ჯეჯილის“** იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: სურათი. უნდა უსათუოდ გაიარო, ახალი წელიწადი—ლექსი შიო მღვიმელისა, იადონი გაფრინდა (თარგმანი) ტასოსი, ჭიანჭველებმა აჯობეს გველს (ბიკოვიდან) კუდრაჭასი, ორი მეგობარი (საშობაო)—მოთხრობა გოგისა, მეგრელი მწყემსი—ლექსი ლადო გეგეჭკორისა, მჭედელი და მისი შვილი-შვილი, (დასასრული) თარგმანი ელ. ხბურზანიასი, საკვირველი მატარებელი, გმირი დერციკი, ზღაპარი (შემდეგი იქნება) ალ. ნათაძისა, წვრილმანი: ახალ წლის მილოცვა, კითხვები და რებუსი, ბუნების წიაღში, ლექსი ვ. რუხაძისა, ნიკორას სიკვდილი, ამბავი ი. გომართელისა, წერილების და ფოსტის გაგზავნ-გამოგზავნის ისტორია ბერლინისა (შემდეგი იქნება) ალ. ფაღავასი, შობა დილას, ამბავი ნ. გ—სა, ყინულეთი და ბნელეთი ალ. ჭიჭინაძისა, ახალი წელი. ლექსი ვ. გორგაძისა, ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი) (შემდეგი).

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** კრება დანიშნულია 3 თებერვლისათვის. კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი ავჭალის წყალსადენზე ორთქლის მანქანების შეცვლისა დიზელებით.

ქუთაისი

◆ სილ. ხუნდაძეს განუზრახავს ქართულ ლიტერატურის სახელმძღვანელო წიგნაკების შედგენა (თითოეული ქართველი მწერლის შესახებ ცალ-ცალკე); პირველი წიგნაკი (ნ. ბარათაშვილი) უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდად გამოვა.

◆ ამ დღეებში გუბერნატორს დაუბარებია ბ. დავ. მდივანი და უთქვამს: სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება საწევრო ფულის შემოუტანლობის გამო უნდა დავხუროთ. დ. მდივანს უთხოვია გუბერნატორისთვის—ერთი კვირის ვადა მოგვეცით, რომ წევრებს დავავალოთ საწევრო ფულის შემოტანაო. ბ. გუბერნატორი დათანხმებულა, ხოლო თუ ამ ერთ კვირაში ეს საწევრო ფული არ შევიდა და წევრებს ასეთი გულცივობა დასჩემდათ, მაშინ დაიხურება ის საზოგადოება, რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა ჩვენში.

◆ ამ ჟამად ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი 1 მანეთად იყიდება, ლობიო 9 აბაზად.

ფოთის ელევატორი

გამოსყიდვა მისი შავი ზღვის საამშენებლო საზოგადოებისაგან.

პირველი პირობა, ხსენებულ საზოგადოებასთან დადებული, ქალაქმა ძირიანად შესცვალა 12 თებერვალს 1908 წელს, საზოგადოების სასარგებლოდ და ქალაქისთვის საზარალოდ და დარჩა პირველი პირობიდან მხოლოდ ერთი მუხლი, რომლითაც ევალება ამშენებელს: თუ გამოცდის დროს ელევატორი ვერ დააკმაყოფილებს პირველ პირობას, ესე იგი არ იქნება საგანგებოდ მაგარი და ვერ შესძლებს დღეში ორი ათასი ტონი მარგანეცის გადატვირთვას—საზოგადოება მოვალეა გადააკეთოს ისე, რომ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს ელევატორი.

1910 წლის ნოემბერში ქალაქმა გამოსცადა ელევატორი, ეს გამოცდა კი არ იყო, არამედ თავის მოტყუილება, მაგრამ ამას ახლა ნუ შევეხებით. ამ გამოცდის შემდეგ ქალაქმა აღიარა, რომ ელევატორი სავსებით აკმაყოფილებს პირობას.

1913 წელს სამინისტრომ ქალაქის მიერ მოხდენილი გამოცდა არ მოიწონა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ელევატორის სამეურნეო მიზნით გამოცდა უნდა მოხდეს რამდენიმე თვის განმავლობაში მისი განუწყვეტელი ამუშავებით და მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რამდენად აკმაყოფილებს ელევატორი პირობასო, ხოლო ტეხნიკური გამოცდა დაავალა სამინისტრომ თავისი მოხელეს ბ-ნ პოკრიშევსკის. პოკრიშევსკიმ გამოსცადა ელევატორი ტეხნიკური მხრით (ესე იგი, რამდენად მკვიდრად არის აშენებული) 1913 წლის ნოემბრის ბოლოში, პოკრიშევსკის აზრით ელევატორი არ არის მაგარი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ელევატორის ვარგისიანობაზე არაფერი ითქმის, სანამ იგი არ იქნება გამოცდილი რამდენიმე თვის მუშაობითო.

აი, ამ მდგომარეობაშია ელევატორის საქმე ამ დროებით სამინისტროში.

ამ წლის იანვარში სამინისტროს მოთხოვნით ქალაქის გამგეობამ მოახსენა, რომ ელევატორის ამშენებელს ერგება ამ წლის 1 იანვარს 728 ათასი მანეთი.

ზემოხსენებულ გარემოებათა მიხედვით ქალაქს შეუძლიან ახალი მოლაპარაკება გამართოს ელევატორის ამშენებელთაგან; მოლაპარაკების მიზანი ის უნდა იყოს, რომ ამშენებელმა ხელი აიღოს სარგებლიდან და ელევატორის მოვლა შენახვის ხარჯიდან, აგრეთვე გამორიცხოს გამოსასყიდი თანხიდან იმ ნაწილის ფასი, რომელიც უვარგისია, ხოლო დანარჩენი ფული მიიღოს. ყველა ამაში ქალაქს იურიდიული ნიადაგი აქვს.

ამის ნაცვლად ქალაქის გამგეობამ დეპეშით მიანდო ქალაქის ვექილს ტოკარსკის სრული ანგარიში გაუსწოროს ელევატორის ამშენებელს.

ქალაქს სრული იურიდიული საბუთები აქვს შავის ზღვის საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ქალაქის გამგეობას არა ჰსურს ისარგებლოს ამ საბუთებით. და როდესაც ქალაქის საბჭოს ოპოზიციონერი ხმოსნები ამას ამხელენ მას, იგი მიმართავს ურცხვ დემაგოგიას და ხალხს აჯანყებს ამ ხმოსანთა წინააღმდეგ.

როდესაც ოპოზიციონერი ხმოსნები მოითხოვენ არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც შეისწავლოს ელევატორის გარემოებაო, გამგეობა ბ. ნიკოლაძის ჩაგონებით ქალაქის მოღალატეებად აცხადებს ამ ხმოსნებს. ამავე დროს ბ-ნი ტოკარსკი ქალაქის გამგეობის მინდობილებით სრულს ანგარიშს უსწორებს შავი ზღვის საზოგადოებას, ესე იგი, იმისი მეცადინეობაშია, რომ მთავრობა როგორმე დათანხმდეს მიეცეს ამ საზოგადოებას ელევატორის ფული 728 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც ქალაქის ვექილი უნდა მეცადინეობდეს, რომ მთავრობამ არ მისცეს ეს ფული, ვინაიდან პირობა შესრულებული არ არის.

ფოთის ქალაქის გამგეობას ასობით საჩივარი აქვს აღძრული ღატაკ მცხოვრებთა წინააღმდეგ სამოსახლო მიწების იჯარის პირობების შეუსრულებლობისათვის, რომელთაც იჯარის ფული (1—5 მანეთამდე) ვადაზე ვერ გადაიხადეს, სასამართლოს ბოქაულის საშუალებით ახდევინებს ამ ღატაკებს როგორც იჯარას, აგრეთვე ჯარიმას და საქმის ნაწარმოებ ჯილდოს. ამ დროს ელევატორის პირობის დამრღვევს სულგძელად აძლევს შვიდასი ათასი მანეთს, ნებაყოფლობით, უდავოდ და თუ ვინმემ ამაზე კრინტი დაძრა ქალაქის მოღალატეთ აცხადებს.

ჩემის აზრით ყოველი გონიერი კაცი ამ შემთხვევაში ასე მოიქცეოდა: შავი ზღვის საზოგადოებას გადაჰკრით მოთხოვდა პირობის თანახმად ელევატორის გადაკეთებას და, სანამ არ გადაკეთებდა, ფულს დაუჭერდა.

უკიდურეს შემთხვევაში გამგეობას შეეძლო გამოეწვია იგი მოლაპარაკებაში და საქმის მორიგებით დასაბოლავებლად უნდა შეეძლია კონტრაგენტისთვის ელევატორების იმ ნაწილების იმ ნაწილების ფასი, რომლებიც გამოსადეგად ცნობილია.

ამ ნაირად ქალაქი გამოისყიდდა ელევატორს.

გამოსყიდვის შემდეგ ეს ელევატორი აუცილებლად უნდა გადაკეთდეს, რათა დააკმაყოფილოს მრეწველთა მოთხოვნილება, ესე იგი, ელევატორმა უნდა მოახერხოს დღეში ერთი გემის დატვირთვა (სახეში მაქვს საშუალო ზომით 4 ათასი ტონიანი გემი) და ხარჯი კი საგრძნობლად შეამციროს, ასე რომ გადატვირთვის ხარჯი ფუთზე 1/2 კაპიკით იაფი იყოს ბათომისაზე.

მაშინ არათუ ბათომში გაიქცევიან მრეწველები, არამედ გაქცეულებიც დაბრუნდებიან.

მასთან ელევატორით უნდა შეიარაღებული იქნას არა ერთი და ორი გემის სადგური, არამედ ყველა რვა სადგური, რომლებიც არიან ფოთის ნავთსადგურში მარგანეცის გემებისთვის დანიშნული.

დარწმუნებული ვარ, ეს ადვილად და ჩქარებით შეიძლება მოხერხდეს.

მაგრამ ყოველშემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია, აუცილებლად საჭიროა ამისთანა დიდი საქმის დაწვრილებით შესასწავლად ქალაქის მმართველობამ იმუშაოს, ე. ი. განსაკუთრებული კომისიის საშუალებით შეისწავლოს ყველა ეს და შემდეგ გამოსთქვას თავის საბოლოო აზრი.

თუ ეს შესწავლა აღმოაჩენს, რომ ქალაქის ელევატორი ვერ დააკმაყოფილებს მრეწველთა მოთხოვნას, მისი გადაკეთებაც შეუძლებელია, შეუძლებელია აგრეთვე ახალი ელევატორების აშენება, მაშინ ქალაქმა უნდა დააკმაყოფილოს გელზენკირხენის საზოგადოების თხოვნა.

ყოველი ღონე უნდა იღონოს ქალაქმა თვითონ იყოს ელევატორების პატრონი. გარდა იმისა, რომ ეს ქალაქს სარგებლობას მისცემს, ხელს შეუწყობს ჭიათურის წარმოების განვითარებას, ვინაიდან გადატვირთვის ხარჯებს გააიაფებს. ქალაქის გამგეობა თვით არ ეწევა მარგანეცის მრეწველობას და როგორც ნეიტრალური დაწესებულება ყველა მრეწველს ერთნაირ პირობებში ჩააყენებდა და ამითი ხელს არ შეუშლიდა ჭიათურის წარმოებაში მარგანეცის ფასის კონკურენციით გაუმჯობესობას. სულ სხვაა, როდესაც ერთს რომელიმე მრეწველს მიენიჭება უპირატესობა, მაშინ ის მრეწველი ისარგებლებს ამ უპირატესობით მისი კონკურენტების ე. ი. მრეწველების წინააღმდეგ, მოინდომებს იმათ განდევნას ბაზრიდან და მონოპოლიის ხელში ჩაგდებას. მონოპოლია მოჰკლავს ჭიათურის წარმოებას.

განსაცვიფრებელ როლს ასრულებენ ამ საქმეში ქალაქის გამგეობა და მისი მომხრე ხმოსნები ბ. ნიკოლაძის ჩაგონებით.

იმის ნაცვლად, რომ მოითხოვონ ელევატორის ამშენებლისაგან პირობის შესრულება, თავგამოდებით იცავენ ამ პირობის დამრღვევს და დაჟინებით მოითხოვენ სრული ანგარიში გაუსწორდეს უსიტყვოდ.

როდესაც სამინისტროს მოხელემ ბ. [illegible]კრიშევსკიმ და დაუინტერესებელ წევრებმა იმ კომისიისა, რომელმაც ელევატორი შეამოწმა— უარყოფითი აზრი გამოსთქვეს ელევატორის ვარგისიანობაზე—ქალაქის თავის მოადგილემ ბ-მა კოქუამ, ქალაქის ინჟინერმა ტოშკოვიჩმა და ქალაქის ვექილმა უთანხმოება გამოუცხადეს მათ და შავი ზღვის საამშენებლო საზოგადოებასთან ერთად განსაკუთრებული აზრი შეიტანეს კომისიის ოქმში. ამის შემდეგ დეპეშით მიანდო გამგეობამ ქალაქის ვექილს ტოკარსკის ვექილობა, რომლითაც დაავალა გაუსწოროს ანგარიში შავი ზღვის საზოგადოებას.

ბ. კოქუამ 21 იანვარს, საბჭოს სხდომაზე, როდესაც ელევატორის საკითხი უნდა გარჩეულიყო, საჯაროთ, ოფიციალურად განაცხადა: ჩვენ რასაც ჩავდივართ სულ ნიკოლაძის ჩაგონებით არის, ნიკოლაძე ასე ირჩევს და ჩვენც უნდა დავეთანხმოთ. თუ არ დავეთანხმეთ, ნიკოლაძე წავა, ჩვენ და ჩვენი ქალაქი დავიღუპებით. ყველა ამის მიზეზი არის ხმოსანი ესაკია, მიუთითა ხალხს ესაკიაზე, ეს არის წყალის ამღვრევი, ამას უნდა ნიკოლაძე განდევნოსო და სხვა... ამით ბ. კოქუამ ის უწესობა შეიტანა საბჭოში და მაყურებელ ხალხში, რომელიც უკვე იყო აღნიშნული გაზეთებში. აი ასეთი ხერხით აპირებს ბ. ნიკოლაძე ოპოზიციის ალაგმვას.

მაგრამ სცდება ბ. ნიკოლაძე, ის დრო წავიდა, როდესაც მთელი საბჭო ერთხმად და ბრმად ასრულებდა ბრძანებას, ხმოსნების და ხალხის ნაწილმა გამოიღვიძა და ამ ნაწილს ყოველ დღე ემატება ახალ-გამოღვიძებულები.

მალე ბატონი ნიკოლაძე დარჩება თავისი ლაქიების და ფანატიკოსების ამარა. **ფოთელი.**

სოფლად

„სოფლელებმა სთქვეს ურიცხვოდ,
მივმართოთ დიდ-მდინარესო,
სადაც ეს ჩადის და ის კი
ურჩევნებს მას სიმწარესო“!
კრილოვის იგავ-არაკი.

1. მოხელეების თვით-ნებობა.

სადაც განათლება არ არის, იქ ყოველთვის ბოროტ-მოქმედება მეტია, სადაც შეგნებული პირები ნაკლები ჰყავს სოფელს, იქ ყოველთვის სოფლის მოხელეები თვით-ნებობას ეწევიან, თუ ესენიც შეუგნებელნი არიან.

და ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო სოფლის მოხელეების თავაშვებული მოქმედება.

დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ადგილებშიაც ასევე იქცევიან. სოფლის მოხელეების თვალყურის მდევნელი მომრიგებელ-შუამავალია. თუ რომ იგი მუდამ სასტიკ კონტროლს გაუწევს მოხელეების მოქმედებას, მით უფრო ნაკლები ბოროტ-მოქმედება იქნება.

წინ მიდევს სია ქრთამებისა და ბოროტ-მოქმედებისა ოქონის საზოგადოების მამასახლისის ანდრი გათიკოშვილისა.

და საჭიროა აღინიშნოს მისი ყოველივე ბოროტ-მოქმედება, რათა მიაქციოს ყურადღება მე-3 რაიონის მომრიგებელ-შუამავალმა თ-დ ვეზირიშვილმა.

თუმცა კი ერთი პირს ოქონის მამასახლისის ანდრი გათიკოშვილის ბოროტ-მოქმედებისას საზოგადოების რწმუნებულნი პირნი ალექსი ჟღენტი და რაჟდენ ალბორიშვილი უგზავნიან მომრიგებელ შუამავალს.

რწმუნებულებმა მეც გადმომცეს სია, რათა საჯაროდ გამოვაცხადო:

1) სოფ. ფიქვიგინაში ტიტო ცხოვრებაშვილს მამასახლისი ანდრი გათიკოშვილი თავისივე ჩაფრით მიეჭრა, წაართვა ხუთი სული თხა და მცხვარი; რძალი ფეხ-მძიმე კაკე გაუძალიანდა, არ ანებებდა, სცემეს, მუცელი წაუხდა, ლოგინში წევს. თხა და მცხვარი კი თავის ქვისლს გადასცა.

ტიტო ცხოვრებაშვილმა ბრალმდებელთან აღძრა საჩივარი ამის თაობაზედ.

2) სოფ. ნაგუთნში გოგია ზუროშვილი გაქურდეს, გიგო ზუროშვილს დააბრალეს. მამასახლისმა პირველს გადაახდევინა 10 მან., მეორეს კი 11 მან. თავის სასარგებლოდ.

მხოლოდ გიგო ზუროშვილს უთხრა თავი იმართლე და ოსურათ დაიფიცეო, მისცა ნება კატა მოეკლა და ვინც დააბრალა, იმის კარებზედ ღობეზედ ჩამოეკიდა მკვდარი კატა.

ამ ამბის შემდეგ სოფელი ძალიან აღელვებულია.

3) ლუქსო სამხარაძეს და ანდრო გუბეშვილს, ვითომ სალდათობისაგან დაიხსნა, პირველს გადაახდევინა 9 მან. მეორეს—25 მან.

4) სოფ. ერწოში კუზურას მოჰპარეს უღელი ხარი, მამასახლისი ჰპირდება, ქურდებს გამოგიჩენ, მხოლოდ 50 მან. უნდა მომცეო.

5) სოფ. ოქონაში: მიხა ქილლაძესგან, იასონ ჯმუხაძესაგან, პეტრე გაბრიელაშვილისგან, ივანე აქარაძესგან და ანდრიასაგან აიღო სამ-სამი მანეთი, სამართალი უნდა მიეცა, არცერთს საქმე არ გაუკეთა.

6) სოფ. სამწყალში: ვანო ქოჩიშვილისაგან—3 მან., სიკო ხუბეჯაშვილისაგან—5 მან. და ციცო ხუბეჯაშვილისგან 15 მან. აკრიფა სხვა და სხვა საქმეებისათვის და არცერთს არ შეუსრულა.

7) იასონ თეღიშვილისაგან, რომელიც სალდათობას ემალებოდა, აიღო 15 მ. მის მაგიერ კი სხვა გაგზავნა.

8) გიგო ფარასტაშვილს წაართვა ორი მანეთში სამი თხა და გადასცა თავის ქვისლს.

9) თილელს სიდამონ ლანჩავაშვილს გადაახდევინა განაჩენის დამტკიცებაში, მხოლოდ ბეჭედი უნდა დაეკრა,—7 მან.

10) გადაახდევინა „უპრაგონოთ“ ღარისთაველ კალაშვილს—2 მ., კაკო ფეხშველაშვილს—1 მან. და კიმო ტურაშვილს—6 მან.

11) ვარდო ბეგიაშვილმა სოფ. სუნისში გახსნა სამიკიტნო, ექვსი თვე „უპატენტოთ“ ივაჭრა, მამასახლისმა თავის სასარგებლოდ გადაახდევინა—12 მან. და ბევრი სხვა ამისთანებია, რომელიც ჯერ ჩვენამდის არ მოსულა.

ხალხი ამბობს, როგორც საჩივარი აღიძრება ჩვენც წამოვუყენებთ, მის გამამტყუნებელ საბუთებსაო.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ შეშის ფულს, რომელიც ყოველთვის კანცელარიისათვის მომრიგებელ-შუამავალი გადასცემს ხოლმე მამასახლისს, ჯიბეში იდებს და შეშას კი საზოგადოებას აზიდვინებს.

გარდა ამისა აგერ მესამედ იკრიფება საზოგადოებისაგან კანცელარიის შენობისათვის ფული ამ რვა წელიწადში, მესამედ გადააკეთეს, ეხლაც ყალბად ააშენეს, ამ ორი წლის შემდეგ ისევ დასანგრევი შეიქნება.

დიდი ფული დაიხარჯა ამ შენობისთვის და ისიც უკონტროლოდ, ამ ფულით კი ერთი კარგი საშვილიშვილო ქვითკირის ორი სართულიანი შენობა დაიდგმებოდა.

ვისი ბრალია ეს?

ვინც რიგიანი და შეგნებული პირები არიან, მათ ახლოს არ იკარებენ, თუმცა საზოგადოებას ჰსურს; ვითომც შენიშნულები არიან „ერთობაში“ მონაწილეობას იღებდნენო და სხვა.

მთელი სოფლის მართვა-გამგეობა იმისთანა პირების ხელშია, როგორც ანდრი გათიკოშვილი და აბა რა ხეირი დაეყრება საზოგადოებას?

ახლა აიღეთ სოფლის მოსამართლეები, არცერთი საქმე უქრთამოთ არ კეთდება. მტყუანი თავს მართლულობს, თუ რომ სამს მანეთს გადადვა სასამართლო მაგიდაზედ.

ქრთამი ისეა გავრცელებული სასოფლო სასამართლოში, რომ აღარავის ერიდებიან, სასამართლოს დროს მოსამართლეები და მომჩივანი ერთმანეთს ევაჭრებიან.

ყოველივე ეს არა ერთხელ და ორჯელ ეუწყა მომრიგებელ შუამავალს. ესეც ხომ ვერ მოსპობს ასე ერთბაშად, რომელიც ასე ჩვეულებრივ მიმდინარეობს მოქრთამეობა.

რაკი სოფლის მოხელეების შესახებ იტქვა, არ შეიძლება არ აღინიშნოს გომის ბოქაულის ბ-ნ ჩიკვაიძის მოქმედება.

ამ ერთი კვირის წინად სოფ. ძველეთს ბოქაულის თანაშემწე და ერთი დარაჯი ხაბელაშვილი მივიდნენ „ნალოგის“ ასაკრეფად. აზნ. ტატიშვილებმა შეიწვიეს სახლში და კარგად გაუმასპინძლდნენ. ბოქაულის თანაშემწე ძალზე დათვრა, დარაჯი კი ბრიყვულ ქცევას მოჰყვა. დარაჯს სახლის პატრონებმა გარეთ გაუძახეს, იქიდან თოფით წევა დაიწყო. გაუცვივდნენ ტატიშვილები, აჰყარეს იარაღი, ერთი ორი წაუთაქეს და გააგდეს.

დარაჯმა გომის ბოქაულს შეატყობინა, ბ-ნი ჩიკვაიძე დარაჯებით მობძანდა, ესტუმრა ტატიშვილებს, დაუყვავა, სთხოვა, წამოდით და დარაჯებთან შეგარიგებთო. ერთი ტიკჭორა ღვინოც წაიღებინა.

წავიდნენ და თან წაიყვანეს დათა, იაშა, ნესტორა და ქრისტესია ტატიშვილები. სოფ. ბერძენულის კანცელარიაში შეიარს, იქაც სვეს. ბოქაული ჩიკვაიძე გარეთ გავიდა და ჩუმათ დარაჯებს უბრძანა, შედით, შეჰკარით ტატიშვილები და იარაღი აჰყარეთო. დარაჯებმა აასრულეს. 12 დარაჯი იყო, რასაკვირველია, ძალ-მომრეობა მოხდა, შეჰკრეს, კონდახებით სცემეს, ერთი ხელში დასჭრეს, მეორეს ხერხემალი გაუტეხეს და სხვებსაც თავპირი კონდახებით ჩაუმტვრიეს. ბერძნულიდან ქვევით შეკრული გომისკენ წაიყვანეს.

ესეც დამახასიათებელი ჩვენი ბოქაულებისა.—

2. მამულის საკითხი ქართლში.

შარშან „სამაჩაბლოში“ აბესალომ მაჩაბლის მემკვიდრეებმა და ზაქარია მაჩაბელმა გაჰყიდეს უცხო პირზე ტყე-საძოვარ-სათიბი და სახნავი რამდენიმე ათასი დესეტინა.

ამ მამულში მოსახლეობენ ჯაველი ოსები.

ამ ერთი კვირის წინად ახალი მამულის პატრონის მოიჯარადრეები, ბოქაული და დარაჯები ჯავაში იყვნენ, რომ გადასახადი მოეთხოვათ და მამულშიაც აღარ გაეშვათ ჯაველმა ოსებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ყველანი გამორეკეს.

— მამულის ყიდვა თუ არისო, ისევ ჩვენი უპრიანიაო და ჩვენ უნდა ვიყიდოთო.

ვნახოთ ეს პირველი შეტაკება რით დასრულდება.

შარშან „აშურიანი“ გაიყიდა, იმის გვერდზე კასპის სადგურსა და მეტეხის სადგურს შუა თ-დი დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარს ეკუთვნის 600 დესეტინა სახნავი მამული. თ-დ დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი კოგნოვიცკისთან პირობით შეეკრა და იმ მამულს მასზე ჰყიდის. საჯავახიშვილოში ბოზნევის საზოგადოებაში თ-დ გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილმაც შარშანვე გაჰყიდა უცხო პირზე ორი ათას დესეტინამდის ტყე-სათიბი საძოვარი და სახნავი მამული, სადაც მოსახლეობენ ქართველი მოიჯარადრენი და ოსებიც.

რასაკვირველია, ვინც მამულს ჰყიდის, იმ ფულს მომეტებულ თავის ოჯახს ახმარებს, მეურნეობას ავითარებს და უდარდელ ცხოვრებას ეწყობა.

ჩვენ თუ მემამულენი ჩვენ მოიჯარადრეებთან და გლეხებთან ვეწყობოდით ურთ-ერთ შორის, ვიცოდით ერთმანეთის ზნე-ჩვეულება.

დღეს ახალი მემამულე ეპატრონება, ახალი მართვა-გამგეობა შეაქვს მამულში და გლეხები, მოიჯარადრენი ვერ ეწყობიან ახალ მემამულეს და ძალა უნებურად ან შეტაკება უნდა მოუხდეთ, ან მამულიდან აყრა.

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი კეთილად ოჯახის მოწყობა, მეურნეობის განვითარება ამაოდ ჩაგვივლის.

ერთსაც და მეორესაც კერა ეშლება. **Legatus.**

ქართული საღამო პეტერბურგში

(წერილი პეტერბურგიდან).

ოდესღაც ამ საღამოებს დიდი სახელი ჰქონდა. მათზე დასწრებას საზოგადოება აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა და სიამოვნებით ესწრებოდა კიდეც. თანდათან ეს საღამოები ჰკარგავენ მნიშვნელობას. ნივთიერის მხრივ ბევრი არაფერი რჩება სტუდენტობას და ქართული ხასიათიც არ აქვს საღამოებს და თუ აქვს, ისიც სასაცილო მხარეებით. წელს ქართული საღამო გაიმართა 12 იანვარს აქაურ სათავად-აზნაურო საკრებულოს ვეებერთელა დარბაზში, მზადება ამ საღამოსთვის დიდი იყო, მრავალ-რიცხოვანი კომისია ერთი თვის წინად შეუდგა საქმეს. კონცერტი ჩვეულებისამებრ საათ-ნახევრით დააგვიანეს გამოცხადებულ დროზე. საოცარი ის იყო, რომ საკონცერტო განყოფილებაში უცხო, არა ეროვნული მუსიკა და სიმღერა სჭარბობდა. კონცერტი დაიწყო ჩაიკოვსკის სლავიანთა მარშით, რომელიც თავდება რუსული ჰიმნით („ღმერთო ჰფარვიდე მეფეს“). რა მისაკერძებელი იყო ეს მუსიკა ქართულ საღამოზე და ისიც დასაწყისში—ძნელი გასაგებია. მაგრამ ლოტბარიც უცხოელი იყო.

ამის შემდეგ ცოტა უხერხულობა ჩამოვარდა დიდი ანტრაქტის გამო. ისევ ის ლოტბარი გამოვიდა ესტრადაზე და ეხლა ორკესტრმა შეასრულა მეორე უცხო ნაწარმოები—„შესტვიე სერდარია“ იპოლიტოვ ივანოვისა. ამ ნომრის შემდეგ გამოვიდა მ. ბალანჩივაძე, რომელმაც იმავ ორკესტრით და არხანგელსკის ხოროთი რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა. პროგრამაში გამოცხადებული იყო ოთხი სიმღერა: „მშვენიერო“, „გუბლი“ (?), „ნეტავი გოგომე და შენ“, და „დედამ რომ შვილი გაზარდოს“. ნამდვილად კი შეასრულეს სულ სხვა: „სამშობლო ხევსურისა“, „პატარა საყვარელო“, „იავარადა“ და „ნანინა“, ე. ი. სიმღერები, რომელიც პეტერბურგის სათვისტოს დაარსებიდან წლითი-წლობით მეორდება ხოლმე აქაურ ქართულ საღამოებზე. ეს სიმღერები ვოკალურ ინსტრუმენტალურ მხრით გაცილებით სუსტად არიან დაწერილი ვიდრე სიმღერები პატივცემულის მ. ბალანჩივაძისა. როლის ამსრულებელთა შორის ქართული რომანსები შეასრულეს ბ-ნმა დოლონაძემ და ქ-ნმა ოკუნევამ. ორთავეს დამსწრე საზოგადოება მხურვალე ტაშით მიეგება. ბ-ნმა დოლონაძემ იმღერა „ოდესაც გიცქერ“. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვილონჩელისტმა ი. აბაშიძემაც. კონცერტი დასრულდა ღამის პირველ საათზე და შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. მოცეკვავეთა შორის აღსანიშნავია ქ-ნი მირიმანოვისა, რომელმაც მართლაც და დიდის ხელოვნებით შეასრულა უზუნდარა და ლეკური. ხალხი ბლომად დასწრო, მაგრამ ქართული კი ვერა ნახა-რა. **დამსწრე.**

მუშათა ცხოვრება

ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესი.

14—17 იანვარს გლაზგოში მოხდა მუშათა მორიგი კონგრესი. კონგრესში მონაწილეობა მიიღო 400 დელეგატმა, რომელნიც 2,000,000 მუშის წარმომადგენელნი იყვნენ. პირველ სხდომაზე განიხილეს მუშათა პარტიის საარჩევნო და საპარლამენტო ტაქტიკის საკითხი. მრავალმა მოლაპარაკემ დაჰგმო პარტიის ტაქტიკა პარლამენტში. ანდერსონი უსაყვედურებდა პარტიას, როს მისი პოლიტიკა პარლამენტში არაფრით განსხვავდება სხვა პარტიების პოლიტიკაშიო. ამის გამო მუშები ვერ ჰხედვენ, თუ რა სარგებლობა მოაქვს მათთვის საპარლამენტო მუშაობას, იმ დროს, როდესაც ეკონომიურ ბრძოლის შედეგები მათთვის ნათელია. მაკ-კარციმ აღნიშნა, რომ მუშები პარლამენტში დიდ ყურადღებას აქცევენ საპარლამენტო ეთიკასა და ტრადიციებს, რის გამოც მათ აკლიათ მუშათა ინტერესების დასაცავად ღვთიური მისწრაფება. მრავალმა დელეგატმა უკმაყოფილება გამოსთქვა მუშათა პარტიის მოქმედების გამო „მარკონის საქმეში“; პარტიამ სათანადოდ ვერ გამოიყენა ეს საქმე და დაჰგმო კაბინეთის წევრთა საბირჟო სპეკულიაცია. ტორნმა ბრალად დასდო პარტიის წევრს მაკდონალდს, რომ მას სამინისტროსთან საიდუმლო ურთიერთობა აქვსო. ლიბერალებთან შეთანხმების ტაქტიკა, ტორნის აზრით, ფრიად შემცდარია. უამისოდაც უფრო ბევრის საქმის გაკეთება შეიძლება, რადგანაც მუშათა ხმების უქონლად მთავრობას არსებობა არ შეუძლიან. მაკდონალდმა გადაჭრით უარჰყო, რომ არავითარი შეთანხმება მთავრობასთან მას არ ჰქონია. კამათის დასასრულს რადიკალთა ჯგუფმა რეზოლიუცია შეიტანა: რეზოლიუცია მოუწოდებდა პარტიას პალატაში დაიჭიროს უფრო დამოუკიდებელი და აგრესიული პოზიცია. პარტიამ წმინდა მუშური პოლიტიკა უნდა აწარმოოს და სასტიკად დაიცვას პარტიული დისციპლინა, კონგრესმა რეზოლიუცია არ მიიღო და შეუდგა მორიგ საკითხების განხილვას.

16 იანვარს დაიწყო საინტერესო კამათი სინდიკალიზმის თაობაზე. კერმა წინადადება შეიტანა, შეათანხმონ ტრედ-იუნისტთა და პოლიტიკური მოქმედებანი, რათა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება მტკიცე ნიადაგზე დამყარდეს. მაკდონალდმა განაცხადა, რომ რეზოლიუცია სინდიკალიზმის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

საჭიროა კონგრესმა თვის აზრი გამოსთქვას სინდიკალიზმზე, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს ურთიერთობა პარტიისა სინდიკალიზმთან. რეზოლიუცია თითქმის ერთხმად მიიღო კონგრესმა. კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს პოლიციის მკაცრ მოპყრობას გაფიცულთადმი (დუბლინის ამბების გამო), მიუხედავად იმისა, რომ სნოუდენმა დამარწმუნებელი სიტყვა წარმოსთქვა და ციფრებით ხელში ამტკიცებდა პროპორციონალურ წარმომადგენლობის სარგებლობას მუშათა პარტიისათვის, კონგრესის უმრავლესობა მას არ დაეთანხმა და უარჰყო მისი რეზოლიუცია. უკანასკნელ სხდომაზე კონგრესმა განიხილა რამდენიმე საკითხი და ამით დაასრულა თვისი მუშაობა.

რუსეთში.

პეტერბურგი. 24 იანვარს დასრულდა ხანგრძლივი ეკონომიური გაფიცვა კრიუმელის ეტლების ქარხანაში. მუშათა მოთხოვნილების ნაწილი დააკმაყოფილეს. გაფიცვამ 98 დღეს გასტანა. მონაწილეობას იღებდა 150 კაცი.

24 იანვარს გაიფიცნენ ბოგდანოვის თამბაქოს ქარხნის მუშები, ისინი მოითხოვენ ოსტატის დათხოვნას. გაფიცულია 850 მუშა. ქარხანასთან პოლიცია სდგას.

რიგა (დეპეშა). ბეკერისა და ამხანაგობის გემთა ქარხნის სადურგლო განყოფილებაში მუშები გაიფიცნენ. გაიფიცნენ აგრეთვე ლანგეს ფეხსაცმლის ქარხნის მუშები. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარადგინეს.

სტუდენტ დენისოვის თავის კვლა.

ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგის ერთ-ერთ რესტორანში ინციდენტი მოხდა სახელმწიფო საბჭოს წევრის დენისოვის შვილების და ერთ დიდ მოხელეს შორის. ინციდენტის მიზეზი რომანიულ ნიადაგზე მოხდა. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობდა სტუდენტების დედა დენისოვისა. რუსეთის გაზეთებში ცნობაა მოყვანილი, რომ სტუდენტმა ნიკოლოზ დენისოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. [illegible] ასე ყოფილა: 25 იანვარს ნაშუადღევის ოთხ საათზე სახელმწიფო საბჭოში მივიდა პეტერბურგის მაძებარ პოლიციის უფროსი ფილიპოვი. ფილიპოვმა განაცხადა, რომ მას ჰსურს აუცილებლივ მოელაპარაკოს სახელმწიფო საბჭოს წევრს დენისოვს. ფილიპოვმა დენისოვი ცალკე კაბინეთში გაიხმო და აუწყა, რომ მის ოჯახში მალე დიდი უბედურება დატრიალდება. დენისოვის ორი შვილი—სტუდენტი აპირებენ თავის მოკვლას. მათ უკვე დაუმზადებიათ წერილი, სადაც მოხსენებული იქნება მიზეზი თავის მოკვლისა. მთელ ბრალს დედასა სდებენო. ამ წერილის ფოსტაში წაღებას აპირებდნენ თავის მოკვლის რამდენიმე საათის წინო.

თავზარდაცემული დენისოვი უმალვე სახლისკენ გაემართა. სახლში იმყოფებოდა მისი უმცროსი შვილი სტუდენტი, მამამ შვილს უსაყვედურა, რომ მისი ოჯახური საქმეები პოლიციის საშუალებით გაიგო; სთხოვა შეებრალებინა ავადმყოფი დედა და ისიც განუცხადა, რომ მან თვის ცოლთან შერიგება გადასწყვიტა. შვილი ეწინააღმდეგებოდა მამას; ცხადად უმტკიცებდა, რომ დედასთან შერიგება ყოვლად შეუძლებელია და რომ ისინი კრიად აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიანო. მამამ განუცხადა, ჩემი გადაწყვეტილება მეურყეველია, „მაშ, თუ ეგრეა, ვნახოთ!“ სთქვა შვილმა, გამოვარდა კაბინეთიდან და რევოლვერი დაიცა მკერდში.

მისი უფროსი ძმა ილიაც იმავე აზრისა. „ჩემი მოვალეობა ჩემ ძმის კვალს მივყვეო.“—განაცხადა მან. მამა დენისოვი ამ ამბით ფრიად შეშფოთებულია. დედას შვილის თავის მოკვლას არ ატყობინებენ.

საჭირო განმარტება

„სიმართლის ხმის“ მე-19 ნომერში „ტფილისელი მუშის“ წერილია მოთავსებული, სადაც, სხვათა შორის, წერილის ავტორი ეხება იმას, რომ ვითომც „სახალხო გაზეთის“ რედაქცია ძალდატანებით გვაწყობინებდეს დამატებითი ფურცელს (ექვს გვერდიან ნომერს). ეს სიმართლეს მოკლებულია. ამისათვის საჭიროა აღვნიშნოთ სიმართლე: ასოთ-ამწყობები და რედაქცია ერთმანეთს შორის შეთანხმებული ვართ, ისე რომ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, როდესაც კი რედაქცია მოისურვებს ყოველთვის ავაწყოთ ზედმეტი და გადავახდევინოთ ხოლმე ყოველ ორ გვერდში 9 მანეთი, რაც სრულდება, ორთავე მხრით პირნათლად. თუ რაიმე უხერხულება არსებობს, ეს ტეხნიკურის მხრით ხდება და ამის გამოსწორება ყოველთვის შესაძლებელი ხდება.

**„სახალხო გაზეთის“
ასოთ-ამწყობნი.**

(ხელს აწერს 13 კაცი).

რუსეთი

კოკოვცევი ცარსკოე სელოში.

21 იანვარს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი ცარსკოე სელოში მეფეს წარუდგა და მოხსენება წაუკითხა ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტის მიმდინარეობაზე სახელმწიფო საბჭოში. ბიუროკრატთა წრეებში ლაპარაკობენ კოკოვცევის, გამგზავრება სრულიად მოულოდნელი იყოო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

30 იანვარი.

უცხოეთი.

ბერლინი. სასოფლო-სამეურნეო კომიტეტმა საღამოს სხდომაზე განიხილა სავაჭრო ხელშეკრულებათა დამზადების საკითხი სამეურნეო თვალსაზრისით. კომიტეტმა რეზოლიუციით მოიწონა გერმანიის სავაჭრო პოლიტიკა და ამისთვის რაიმე ცვლილების შეტანა უსარგებლოდ სცნო.

1 თებერვალს უნდა გაიმართოს რუსეთის შინა მრეწველობის გამოფენა. ამის გამო პროფესორი გეტშმა მოხსენება წაიკითხა „რუსის გლეხი ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში“.

რომი. ნაფიც ვექილთა შორის დიდი აგიტაციაა სისხლის სამართლის წარმოების ახალ წესდების შემოღების გამო. ახალი წესდება ამცირებს გამომძიებელთა და მოსამართლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვს; სამოქალაქო მომჩივანთა რიცხვს ერთითა ჰსაზღვრავს. ზოგიერთ ადგილებში ნაფიცი ვექილნი ეფიცებიან. ნეაპოლში ყველა ვექილი გაფიცულია.

ბერლინი. ლანდტაგი. იხილავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. მინისტრმა განაცხადა: აღმოსავლეთ განაპირათა კავშირი მუშათა დაქირავების დროს ეროვნული მოსაზრებით უპირატესობას აძლევს გალიციელ რუსთ; ამავე მიზნით კავშირი დაიჭირა უკრაინელთა ეროვნულ კომიტეტთანო.

კავშირის მოქმედება პოლონელებს შეუწყნარებლად მიჩნიათ; ამის მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომც ფანატიკოსმა უკრაინელებმა გალიციაში მეფის მოადგილეს მოკვლაში მონაწილეობა მიიღესო. მინისტრის აზრით, ფრიად სახიფათოა ამაში ბრალი პირადებით მთელს უკრაინელებს დავდოთ და ვიფიქროთ, რომ უკრაინელთა კომიტეტი დამნაშავეთაგან და მკვლელთაგან შესდგება. პოლონელთა მამულების იძულებითი ჩამორთმევის გამო მინისტრმა სთქვა: თუ პოლონელნი კვლავ ხელს შეუშლიან გერმანელების მიერ პოლონელთა მამულების შეძენას, პრუსიის მთავრობა იძულებული იქნება იმავე ძალდატანებითი ზომებს მიჰმართოსო.

მინისტრის შემდეგ 5 საათი ილაპარაკა სოციალისტმა გოფმანმა. კამათის გაგრძელება სხვა დროსთვის გადაიდო.

ლონდონი. (დაგვიანებული ცნობა). ქვედა პალატის სხდომა. მთავრობის პარტიის ორმა მოლაპარაკემ წარმოსთქვა სიტყვა. მათ წინადადება მისცეს პალატას განიხილოს სეფე სიტყვის საპასუხო ადრესი. ოპოზიციის წევრმა ვალტერ ლონგმა შესწორება შეიტანა ჰომრულის საკითხში. ინგლისი დღე-დღეზე მოელის სამოქალაქო ომს. ოპოზიციის მოვალეობაა პალატას მოსთხოვოს გარემოების შესაფერი ღონის ძიებათა მიღება. სამოქალაქო ომის შედეგი იქნება მთავრობის პოლიტიკისა. ლონგს შესწორება შეაქვს, რომლითაც იგი აღიარებს, რომ დამღუპველი იქნება ჰომრულის ბილის შემდეგი მსვლელობა, თუ ამ საკითხს მთელი ინგლისი არ განიხილავს. ასკვიტმა უპასუხა: ჰომრულის ბილი ორჯერ იყო მიღებული; თუ მესამედაც მოვიდა, მაშინ იგი კანონად შეიქნება. საყოველთაო არჩევნები ვერ გადასწყვეტს ჰოარულის საკითხს; უეჭველია ეს საკითხი პალატათა შეთანხმებით გადასწყდეს. ასკვიტი სინანულს გამოსთქვამს, რომ ბონარლოუსთან მოლაპარაკება შეთანხმებით ვერ დასრულდაო; მაგრამ ასკვიტს შეთანხმების იმედი მაინცა აქვს.

ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ საქმის დაყოვნება დიდ გართულობას გამოიწვევს. ჩემბერლენი ეკითხება მთავრობას: ულსტერს ბილიდან გამორიცხავს თუ არა, ან მისცემს თუ არა ულსტერს იმავე უპირატესობას და უფლებებს, რაიც მინიჭებული აქვს სამეფოს სხვა კუთხეებს. სამოქალაქო ომი მთავრობის პასუხზეა დამოკიდებული.

კამათი სხვა დროისთვის გადაიდო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლორდოდ გლენკონერმა და ფარიკმა სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის პროექტი შეიტანეს. ლორდოდ მილდტონს შესწორება შეაქვს. ლორდოდი ეკითხება მთავრობას, რა წინადადებანია მიღებული ულსტერის საკითხის თაობაზე მოლაპარაკების დროს. მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს წინადადებანი საიდუმლოდ უნდა იყოს დაცულიო.

ტოკიო. ბრბო შეეცადა თავს დასხმოდა ზოგიერთ გაზეთის რედაქციებს. პოლიციამ განზრახვას ხელი შეუშალა. შეტაკების დროს დაიჭრა ექვსი კაცი. დააპატიმრეს 150.

თრიურა. (ოლივია) ესპუსლიტასის თითბერის ქარხნის ნალმების საწყობში აფეთქება მოხდა. დახოცილი და დაჭრილი ბევრია.

ტოკიო. პარტიო „ნიცი-ნიცი სიმბუნჰა“ განაცხადა: თუმცა კაბინეთისადმი უნდობლობა უმეტესობამ უარჰყო, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი მიმართულია პრემიერის იამა მოტოს წინააღმდეგ, რადგან იგი სათავეში უდგას გაბატონებულ საზღვაო პარტიას, რომელსაც ბოროტმოქმედება ბრალდება: უარყოფილი უნდობლობა მაინც საბუთს არ აძლევს მინისტრს თანამდებობიდან არ გადადგეს. გაზეთები ამოწმებენ კორეიელები მტრულს განწყობილებას, რომელთაც განზრახული აქვთ იაპონიის საელჩოზე თავდასხმა. კუნძულ ფორმოზას ადგილობრივ მკვიდრთა შეთქმულების პროცესის განძლიერების გამო 700-მდე დააპატიმრეს.

სტოკჰოლმი. ჩქარი მატარებლებით ჩამოვიდა 1800 სტუდენტი უპსალის, ლუნდის და გეტებორგის უნივერსიტეტებისა, რომელთაც სწადიანთ მეფეს განუცხადონ პატრიოტული გრძნობანი. სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, რომელთა რიცხვი 6000 აღემატებოდა, პროცესია ფრიალა დროშებით სასახლისაკენ გაემართა. მანიფესტაციამ ხალხში დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია. სტუდენტთა კორპორაციების თავმჯდომარეებმა მეფეს ნდობა გამოუცხადეს და დასძინეს, მეფის მიმართვა ხალხისადმი არას დროს უშედეგოდ არ ჩაივლის. მეფემ მხურვალე სიტყვით უპასუხა, რომელშიაც სთხოვა შვეციის განათლებულ ახალგაზრდობას, დაეხმარონ მეფეს, გაუადვილონ მუშაობა ნაციონალურ დაცვის საქმეში, რომლის მიზანიც თავისუფალ დამძლავრ შვეციის შექმნაა.

ლონდონი. ახალშენების სტატს-სეკრეტარმა საზოგადოებათა პალატაში განაცხადა, სამხრეთ აფრიკის პარლამენტის სესიის დასრულების მერე გლადსტონი გენერალ-გუბერნატორობაზე ხელს აიღებსო. მისი წასვლა გამოწვეულია პირადი ხასიათის მიზეზებით და მათ დამოკიდებულება არა აქვს უკანასკნელ ამბებთან.

— ვაჭრობის მინისტრი ბექსტონი სამხრეთ-აფრიკის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა; მის ადგილას— ბერნსტი სამიუელი ადგილობრივ სამმართველოს უწყების თავმჯდომარედ დაინიშნა.

აოსტა. ჟენევიდან მონბლანზე გადაფრენის შემდეგ მფრინავი პარმელენი აოსტასთან დაეშვა.

ცეტინიე. სკუპშჩინის გახსნისას მეფემ სიტყვა წარმოსთქვა, მადლობით მოიხსენია ბრძოლის ველზე დახოცილ-დაჭრილნი და ვინც ხელი შეუწყო სამეფოს საზღვრების გაფართოვებას, რომ ჩერნოგორიას შეუძლიან სერბიას გაუწოდოს ხელი, რომლისაგანაც მას არასდროს არაფერი ვერ გაჰყრის. მეფემ მწუხარება გამოსთქვა, რომ იძულებული იყო სკუტარი დაეთმო, ევროპის მშვიდობიანობისა და სერბიის ინტერესების დასაცავად. ამ სიტყვაში გამოთქმული იყო საჭიროება ახალი ახალშენების მოწყობისა და მუდმივი ჯარების გადიდებისა. გარეშე პოლიტიკის შესახებ მეფემ სთქვა: დაპყრობილ ადგილებისა და ნაციონალურ გამარჯვების დაცვა დამოკიდებულია სერბიასთან შეკავშირებულ მუშაობასა და რუსეთის ერთგულებაზე. მეფემ მწუხარება გამოსთქვა, რომ ალბანელებმა კიდევ დაარბიეს ახლად დაპყრობილი ტერიტორია და იმედი გამოსთქვა, რომ ალბანეთი, რომლისათვისაც ჩერნოგორიამ ბევრი რამ გააკეთა, ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანობას ეღირსება.

ლისაბონი. ახალი კაბინეთის (მოხადოს კაბინეთი) პროგრამა შეიცავს განსაკუთრებით პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას, აგრეთვე ეკლესიის გამოყოფის კანონ-პროექტის გადაშინჯვას.

მარმაროშ-სიგეტი. გაგრძელდა მოწმეების გამოკითხვა. ორმა უნიატმა მღვდელმა, სოფლის ნოტარიუსმა და მასწავლებელმა განაცხადეს, ხალხი უკმაყოფილო იყო სკოლებში მადიარულ ენაზე სწავლებით, კალენდრების გაერთიანებით და კათოლიკეთა სახალხო კავშირის დაარსებით.

ლიუბლინი. დაიწყო განხილვა სახელმწიფოს ღალატის საქმისა, რომლის გამოც პასუხისგებაში მიცემულნი არიან: ვიცე ბურგმისტრი ტრილერი, თავისუფალ მოაზრე სლავიანთა მეთაური და სლავიანების შავარდენთა კავშირის თავმჯდომარე ორაჩეკი. ბრალდებულები გასჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ვერ უპოვნეს.

ლვოვი. რამდენიმე ათასი მუშა შეგროვდა ქალაქს საბჭოს წინ და გაუგზავნა მეფის მოადგილეს და ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება, დამშეულები დააკმაყოფილონ. ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა და კართოფილი დაურიგეს. ბრბომ დუქნები დაარბია და პური გაიტაცა.

რუსეთი.

პეტერბურგი. ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების საბჭოში თევზის მრეწველთა თათბირი დაარსდა. ახლო ხანში თევზის მრეწველთა სრულიად რუსეთის კრებას მოიწვევენ.

პეტერბურგი. სინოდმა გადასწყვიტა მილიციელ და ბუკოვინელ დამშეულთათვის 3 000 მანეთი გადასდოს. ეს დამატებითი თანხაა 5.000 მანეთისა, რომელიც სინოდმა შარშან გაიღო.

პასუხად გ. გამრეკელს

(წერ. რედ. მიმ.)

„სახალხო გაზეთის“ მე-1094 ნომერში მოთავსებული იყო გაბო გამრეკელს კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ეხებოდა მეჯვრისხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მოქმედებას და, რომელსაც იგი შეცდომით უწოდებს „ბანკს“ და ამბობს... „ჩემ მეზობელ გლეხს შემოდგომას 10 კოკა ტკბილი ამოურწყეს ნისიებში, დაიკვეთამენ 2 მ. 50 კ.—3 მ. ტკბილს ზაფხულში“... და სხვა—„სამწუხაროა ის არის, რომ სასოფლო ბანკის წყალობით ამ სოფლის მეგობრებს გამოაქვთ ბანკიდამ 20-20 თუმნობით და იკვეთამენ პურს, სიმინდს, ხილს, ტკბილს და შემოდგომას გორისკენ მიაქვთ. ჩვენი გლეხი კი თვეობით ფულის გამოსატანად დადის და ძლივს-ძლიობით გამოაქვს“... და ბოლოს დასძენს „ბანკის მოქმედებით, სამწუხაროდ, უფრო გასუქებულმა ვაჭრებმა ისარგებლეს, მაგრამ საზოგადო აზრი ბანკის შესახებ იმედიანია“.

რომ ეს მართალი იყვეს დიახ სამწუხაროა და გ. გამრეკელის დასკვნას მიუხედავად ვერაფერ საიმედო აზრებს ვერ გამოიწვევს. სანამ ბ-ნი გამრეკელი ამ კორესპონდენციას დასწერდა, კარგი იქმნებოდა პირადად გასცნობოდა საქმის ვითარებას. ამხანაგობის მართველობა, არამც თუ არა ჰფარავს ვისმეს წინაშე თავის მოქმედებას, არამედ მუდამ იცის ცდაშია, რომ ყველას გააცნოს და იმის მიუხედავათ, რომ კრებებზე უცხადებენ მას ნდობას და ამბობენ ანგარიშები საჭირო არ არის, ისეც გენდობითო, ძალას ატანს და ანგარიშს აწევინებს. საერთო კრებების გარდა, მუდამ კვირა დილით, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2—3 საათამდე, ღია არის და მსურველს შეძლება აქვს, როდესაც კი მოიწადინებს, გაეცნოს წიგნებიდან და მართველობის წევრების მოქმედებიდან საქმის ვითარებას. ვარწმუნებ გ. გამრეკელს, რომ გლეხ-კაცის რაიმე მოსავლის დასაკვეთად არავისზედ არასდროს არცერთი გროში არ გაგვიცია და თავის საჭიროებისათვის 75 მანეთზე მეტი არავის გაუტანია, რადგან მართველობას ნება არა აქვს მეტი გასცეს ვისზემე. იმის მიზეზი, რომ ზოგიერთს, წოდების მიუხედავად, უხდება ცდა, შეიძლება რამოდენიმე თვეობითაც, სესხის მისაღებად საწარმოვო თანხის სიცოტავეა. ამ დაწესებულების დაარსებისას, როდესაც მსურველთ ხელს აწერინებდნენ თხოვნაზე, დიდი მეცადინეობა გამოიჩინეს მედუქნეებმა, ჩარჩებმა, ფულის გამსესხებელმა და სხვა ამგვარ პირთ და სცდილობდნენ, ათას გვარ ცილის წამებით, ხალხში გაევრცელებინათ ამხანაგობისადმი უნდობლობა, რამაც უნაყოფოდ არ ჩაუარათ და რის გამოც თხოვნაზე ხელის მომწერთა რიცხვი ძლივს შეგროვდა 48 კაცამდე. მთხოვნელთა სიმცირის გამო ითხოვეს სესხად მხოლოდ 3500 მან. დაარსებიდან მეორე წელს, რაკი წევრთა რიცხვი გამრავლდა, ხელმეორედ მისცეს თხოვნა, რათა კრედიტი 10,000 მანეთამდე გადიდებინათ, რაიცა დააკმაყოფილეს მხოლოდ სამას თუმნიან მოკლე ვადიანი სესხის მომატებით. ასე რომ, ამჟამად ამხანაგობას აქვს ნასესხები ძირითადი თანხა 1500 მან., მოკლე ვადიანი სესხით შეუძლიან ისარგებლოს 5,000 მ., რომელიც მოვალეა წელიწადში ერთხელ სულ მთლად გადაიხადოს; თუ ამ თანხას მიუმატებთ შესანახად შემოტანილ ფულს და ორი წლის წმინდა მოგებას შესდგება 8257 მ. და 38 კ., აი, ამ თანხით უნდა დაკმაყოფილდეს ამხანაგობის 805 წევრი. რომ თანასწორად გაუნაწილდეს თანხა, წევრით თითოს შეხვდება არა უმეტეს 27 მ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ შესანახად შემოტანილ ფულს შემნახველი აღარ გაიტანს, მოკლე ვადიანი სესხი ერთბაშად იქნება გამოტანილი და თანხა განაწილდება იმის მიუხედავად, ვის რა საქმისთვის სჭირდება და ვის რა შეუძლიან გააკეთოს გატანილი სესხით. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ამ გვარი დაწესებულებანი არსებობენ არა იმიტომ, რომ რაკი ფული არის, უჭირს თუ არ უჭირს, ყველა წევრს მიეცეს თავის ხვედრი თანხა, არამედ წევრთა სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სარგებლით სისხლის მწოველთა თავიდან მოსაშორებლად და სხვა ამ გვარ სასარგებლო საქმეთათვის. მხოლოდ გამოუცდელი, გლეხთა ცხოვრების არ მცოდნე, იფიქრებს, რომ 27 მ., ყველა წევრთაგანი რაიმე სასარგებლო საქმეზე მოიხმარებდეს. ამხანაგობის მართველობა რომ ასე მოიქცეოდეს, უფრო დაავალიანებს ისედაც ვალში ჩაფლულ გლეხს. გატანილ 27 მ. ზოგი ვერც ვალს მოიშორებს ვერც არა სხვა რამ საქმეს გაიკეთებს. რომ სესხათ აღებული ფული წევრმა სასარგებლოდ მოიხმაროს, საჭიროა მიეცეს იმდენი, რამდენიც მას სჭირდება, მაგალითად, ვალი მართებს 50 მ. ან ყიდულობს 60 მანეთად ღირებულ საქონელს (ხარს, კამეჩს) თუ პირველ შემთხვევაში 50 მ. და მეორეში 60 მ. არ მისცემთ, იმ ვალს ვერ გადაიხდის და ვერც საქონელს იყიდის, ამაზე ნაკლებ მიცემული ფული უბრალოდ შემოეხარჯება და პირველს ვალი ისევ ვალად დარჩება იმ განსხვავებით, რომ წინანდელ ვალს მიემატება საამხანაგო დაწესებულების ვალი და მეორე ვერც საქონელს იყიდის და ვალსაც წამოიდებს. აი, ეს არის მიზეზი, რომ მართველობა ზოგს 75 მან. აძლევს, ზოგს 60 მან. და ზოგს კი უხდება მართლაც და თვეობით ცდა, რადგან თანხა ამხანაგობას ყველი წევრის საჭიროების დასაკმაყოფილებლად არა ჰყოფნის.

დასარწმუნებლად, რომ მმართველობა არავის სესხს არ აძლევს რაიმე მოსავლის დასაკვეთად და თანხის სიცოტავის მიზეზით ვერ აკმაყოფილებს ყველა წევრის საჭიროებას, მოვითხოვთ გ. გამრეკელისაგან მობრძანდეს ანგარიშების და წიგნების დასათვალიერებლად და შესამოწმებლად. უმჯობესი კი ნუ [illegible] ასეთ ამბების წერას გაზეთში, რათა ასეთ სასარგებლო დაწესებულებისადმი უსაფუძვლოდ ნდობა არ დაუკარგოს ხალხს.

დიდი-მეჯვრისხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მართველობის თავმჯდომარე

ქ. თუღაშვილი.

წერილი. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ და საზოგადოებას, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ფული, წიგნები და აგრეთვე შემოსწირეს ჟურნალ-გაზეთები 1913 წ. სოფ. ანაგის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს:

ს. ანაგის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ—ხუთი თუმანი, დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა სამი მანეთი. უწერდნენ, ძმები მირიანაშვილები რაჟდენი, გიგა, ნიკო და ლევანი, გაზ. „თემს“ და „სახალხო გაზ.“-ს და შემოსწირეს 32 ცალი ქართული სხვა და სხვა წიგნები. ქ. შ. წ.-კ. გ. ს. სიღნაღის განყოფილებამ—3 ც. ქართული წიგ. ჟურ. „განათლების“ რედაქტორმა ლ. ბოცვაძემ თავის ჟურ. „განათლება“ 1910 წ., 1911 და 1912 წ.წ. ყველა ნომრები და ყოველი ნომერი ორ-ორი ცალი. არჩილ შეყლოვემ—10 ც. ქართული სხვა და სხვა წიგ. ნიკო გ.—ძე ახმეტელაშვილი უწერა ჟურ. „განათლება“-ს. ნიკო ივ.-ძე ახმეტელაშვილმა შემოსწირა „ბესიკი“ „მზის სიცილი“ აბაშელისა. ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილმა—სრული თხზულ. შექსპირისა, ბაირონისა, „ათას-ერთი ღამე“ 6 ტომი, „დონ-კიხოტი“, „იგავ-არაკნი“ 2 ც. მისივე, მშვენიერ ყდაში ჩასმულები.

ს. ანაგის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს **გამგეობა.**

მ. ხ., ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თელავის ქალთა წ. ნინოს სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფეთა და ჩემს მაგიერ ყოვლად სამღვდელო ანტონს, რომელმაც მოწაფეთათვის დასარიგებლად მომაწოდა ბროშიურები ქართველ წმიდათა ცხოვრებისა.

თელავის ქალთა წ. ნინოს სასწავლებლის სამღრთო სჯულის მასწავლებელი მღ. **მ. ხ. ელიზბარაშვილი.**

პატივცემულო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპ. დავითს, რომელმაც, მიუხედავათ წარსულ შემოწირულებისა, კიდევ კეთილ ინება და ალაგირის ქართულ სკოლას შემოსწირა ათი მანეთი.

საზანდარი **ოქრო ივანეს ძე ლობჟანიძე.**

შემოწირულება

ქალაქ ვერნიდან ევსევი ერასტის ძე გაბიჩვაძისაგან. **ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად** მივიღეთ 1 მანეთი.

დაბა სარაყა მიშიდან ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად ბ. ზალდასტანიშვილისაგან 8 მან.

ლელა გედევანიშვილისაგან **არ. ჯორჯაძის** ძეგლის სასარგებლოდ 6 მან.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მრდაის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. **ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.**

Метилъ. 547912.

ნაჭერი 25 კ.

ერთადერთი ფაბრიკა: **ფერდ. მიულჰენსისა.**

1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. **ფომინა-თხამლგიხა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6მ. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. **ნათაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 მ. ა. **მირაქოვა** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზეპირად დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყენისქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაკლაკის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი ვრაცის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
ქუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი; გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ ღ კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა**, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მატარებელთა მიმოსვლა
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).
ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6-ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 5 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კიზლიარი-რიონი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.
უბნები
1—2 გ. ა. **გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 მ. ა. **შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 ტ. მ. **თამაშიანცი** (ველიამინოვის, 1, ტელეფ. 680).
6—7 ვ. ლ. **კაკულაშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 ე. ა. **მელიქ-შახნაზაროვი** (პუშკინის ქ., № 23).
10, 11—12 ა. გ. **ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

ექიმი
მ. ტ. მულინი
სნეულებანი: ყელისა, ცხვირისა და ყურისა. **იგი ავადმყოფებს სამკურნალოში აღარ იღებს, იღებს მხოლოდ საკუთარ ბინაზე: ვერის დაღმართი № 3.** 52.

ეპიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
მ. გ. **აჯემოვი**: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. **ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. **მენაბდიშვილი**: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. **ავეტიხიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. შ. **კარამელიანცი**: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. მ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. **ავეტიხიანცი**: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადმავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე; საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.